

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ზ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარევე მცხოვრებთათვის: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газ. „Дრობა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორგაბათს გარდა

ფასი განსხვავების: დიდი ასობით ასობზე—1 კაპ., მსა-მთავრობით სტატიკონზე—8 კაპ., სტატიკონზე—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდო გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ტირნოპი, 19 აპრილს. თაგ. დონ-დუკოვ-პარსაკოვმა დაითხოვა რუსის ჩინოვნიკები და მათ ალაგას დანიშნა ბოლგარელები.

ბერლინი, 19 აპრილს. თაგ. ბატტენ-ბერგი წავიდა პარიჟში. მამასთან.

პატარბურლის ბირჟა, 21 აპრილს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	97—50
მეორე —	96—37
მესამესი —	96—37
მეოთხესი —	96—85
აღმოსავლეთის პირ. —	93—50
აღმოსავლეთის მეორე —	93—62
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8—53
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი —	94—50
შინაგანი 5%, სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის —	241—50
მეორე სესხის —	235—75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი —	23—16 პენსი
ამსტერდამი —	— „ ცენტი
ბერლინი —	— 200 ჰფენიგი
პარიჟი —	— 246 სანტიმი
ბაქსაისის კერასინი —	— „ —

საქართველო

ქუთაისის განაჯი პოლემიკა.

იმის მაგიერათ რომ ნ. ნიკოლაძეს ბანკის დაარსების მტკიცე საფუძვლები ეჩვენებინა საზოგადოებისათვის და ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა თვალსაჩინათ და ზედ მიწვევით გამოეხატა, ის მოყვა წილადობილას პუბლიცისტის მნიშვნელობაზე, კრიტიკის დანიშნულებაზე და საზოგადო მოასპარეხსე კაცების ზნეობის მხარეზე და ბ. ლობაძეობის უზნეო უხასიათო მოქცევაზე. მის რას არგებდა მაშინ ამისთანა ყბედობა, აბა, რათ გამოადგეოდა საზო-

გადოებას ეს უბრალო სიტყვების რ.ხა-რუხი.

1873 წელს იენისის თვეში ბანკის პროექტი მიიღო ჩაზოგადოებამ და ახალი პროექტის განსახილველად დანიშნა კამისიაში შემდეგი წევრები: თ. ლ. პარს-თავი, აზ. ლ. აელიანი, აზ. ლ. ბაქრაძე, აზ. ნ. ლობაძეობი და აზ. ლ. ჩხეიძე. კამისიაში არც ერთი „ლობაძეობის“ მწერლობისაგან ნაჩვენები კაცები, არ დაუნიშნავთ. ეს გარემოება ნ. ნიკოლაძემ ბ. ლობაძეობის გულ ჩანვეულს მოქმედებას მიაწერა მაშინ როდესაც ეს გარემოება იმის ბიძაშვილების ბრალი იყო და ამისგამო იმას გადაეკადა რაშთენათაც კამისია ამ ახალი საქმის უცნობი იყო იმდენათ უფრო სკირდებოდა იმას საფუძვლიანათ გზის ჩვენება ბანკის პროექტის მაშინვე განხილვა მეცნიერების საფუძველზე, რომ თვითონ კამისიას შესძლებოდა შეეფსო პროექტის ნაკლოვნებება და ამით მთელს საზოგადოებას დაზმარებოდა. ვის რა დევა ჰქონდა ბ. ლობაძეობისთან? აგერი იყო, თუ ავი, იმან თავისი ღვაწლი მოუტანა საზოგადოებას. შოველი ღირსი მემამულის და თავის ხალხის მოყვარული კაცის მოვალეობა იყო ამ კამისიას დაზმარებოდა, თუ წერით, თუ რჩევით, რომ ბანკის პროექტი შეესწორებინა, ვინ იტყვის ამის წინააღმდეგ?

აქ ამ საზოგადო საქმეში ყოველივე თავმოყვარება და მეურნეობის ცეცხლი უნდა ჩამქრალიყო.

მაგრამ სამწუხაროდ ნ. ნიკოლაძემ, აი, ამ დიდ საქმეში ვერ გამოიჩინა სულგრძელობა. იმან იმგვარივე წერილმანი თავმოყვარეობის ხირქი მოიცხო, რომლის გულისთვისაც სხვას ჯვარზე ცმას ექვადებოდა.

როგორც კი კამისია ამოიჩინეს პროექტის განსახილველად და გასასწორებლათ, ნ. ნიკოლაძეც მაშინ დადუმდა. ბავიდა სამი წელიწადი, ბანკის პროექტი დამტკიცდა. მუთისის თვად აზნაურობა ცის მანნასავით მოელოდებოდა თავის ბანკის დაარსებას. მალეებისაგან დატვირთული იმის მამულეები ჰა, თუ გაიცილონ, ჰა, თუ არა... ყველა ბანკისა შემჩრენი იყვენ იმათი აზრით მხოლოდ ბანკი იყო მსხნელი და აღმდგენელი. დადგა 1876 წელი თვად აზნაურობა შეგროვდა მუთისში ბანკის გამგებლების ამოსარჩევათ.

შეცრად გაჩნდა ნ. ნიკოლაძეც ჰქეჰ ქუხილით და ქორიით დაეცა თავზე უქვე დამტკიცებულს ბანკის პროექტს.

იმან გულგახურებულათ დაუწყო ყოველგვარ ნაკლოვნებების ჩვენება. მის რათ უნდოდა ან ვიდასთვის იყო ეს საქირო, არ ვიცით.

„სადილს შემდეგ საუზმეო“ სწორეთ იმგვართ მოუვიდა უფ. ნ. ნიკოლაძესაც. მუთისის თვად-აზნაურობა მეტად გააჯავრა ამისთანა მოქმედებამ და რასაკვირველია, იმისმა მოწინააღმდეგებმა ბ. ლობაძეობის ბიძაშვილებმაც, ძალიან კარგათ ისარგებლეს საზოგადოების უკმაყოფილებით.

ჩვენ აქ საჭიროდ ვრაცხთ მოკლედ და კრიტიკურად განვიხილოთ რაც მაშინ ბანკზე სტეჰა უფ. ნ. ნიკოლაძემ ამ შემთხვევაში.

რასაკვირველია. ჩვენ არ მივაქცევთ არავითარს ყურადღებას იმ მხარეს ნიკოლაძის სტატიებისას, სადაც ის შეეხება თუ რანაირად იყო ლობაძეობის პროექტი შედგენილი, ნაკუწ-ნაკუწებათ, თუ ხარკოვის ბანკის უსტავისაგან, თუ ხერსონის თუ ტფილისის ბანკის უსტავებისაგან. მთენი მხოლოდ პოლემიკის ოინებია და თვითონ საქმისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. უმთავრესი საბუთები ნ. ნიკოლაძისაგან წარმოდგენილნი არიან:

პირველი საბუთი. ბანკის უსტავი სრულეებით უნდა ეთანხმებოდეს ქვეყნის ეკონომიურს და სოციალურს მდგომარეობას; იმის მუხლები რაც შეიძლება ვრცლად და საყოველთაოდ უნდა აკმაყოფილებდეს ამ ქვეყნის ხალხის საჭიროებას. ბანკის უსტავის შემდგენელმა ჯერ საფუძვლიანათ უნდა გამოიკვლიოს და შეიტყოს რანაირი სამოქალაქო კანონები არსებობენ, რა და რა უფლება და სამოსამართლო მდგომარეობა აქვს იმ საზოგადოებას, რომელშიაც უნდა მას ბანკი დაარსოს? ამის შემდეგ ის არჩევს სხვა და სხვა ბანკებში ერთს რომელსამე ბანკს, რომლის საფუძველი და დედა აზრი უფრო მოუხთება იმ მხარეს და იმ საზოგადოებას, სადაც უნდათ ბანკის მამართვა.

მარგი და პატროსანი. ეს მართლაც თეორეტიკულათ სწორი მოსაზრებაა. ამ პრინციპის ძალით ხერსონისა და ხარკოვის ბანკის უსტავები მართლაცა და მართლ დიდი მემამულეების მეპატრონე კაცებს გამოადგება და იქ, სადაც ჩვენს ქვეყნისათვის მცირე მამულეებია, მომეტებულ ნაწილათ თითოეულს აქვს მხოლოდ ათი ან თუთხმეტი ქცევა, ამისთანა ბანკების უსტავი მაშასადამე გამოსადგომი არარის მხოლოდ ბ. ლობაძის, წყ-

რეთელს, ბიორგი შარვაშიძეს და ამის-
თანებს გამოადგება, აგრეთვე შალაქის
დიდს მოვაჭრებს, რომელთაც დიდი
ქარვასლები და სახლები აქვთ აგებული.
მომეტებული ნაწილი ჩვენის თავად-აზ-
ნაურობისაკენ ამ უსტავის წყალობით წრის
გარეშე დარჩენილა, რადგან იმათ ათასი
და ორი ათასი დღის მიწები არა აქვთ,
როგორც ხერსონისა და ხარკოვის ად-
გილის მებატონეებს. ეს ყველაფერი
კარგი; მაგრამ პრაქტიკულს განსჯაზე
რომ მივიდა საქმე, თვითონ უფ. ნ. ნი-
კოლაძემ ისეთი ახრებული აზრი წარ-
მოსთქვა, რომ ამითი სულ დაარღვია
თავისი თეორეტიკული მსჯელობა.

მაგალითად სესხის ადვილათ გამოტა-
ნისათვის მტკიცე საბუთის მაგიერათ
საკმაო იქნებოდა, რომ მსესხებელს
თავის მეზობლებისგან ხელმოწერილი
მოწმობა წარედგინა ბანკში და ამ მოწ-
მობის ძალით გამოეტანა სესხი. ამზე
მოწინააღმდეგებმა უკვილეს ნ. ნიკო-
ლაძეს და სამართლიანიც იყვენ: თუ
ვინდა ხელს-მოგვიწერ, რომ მთელი მუ-
თაისის ლუბერნია შენი არის და, აბა, წა-
დი და დააგირავე, მნახოთ, თუ ვინმე
მაგ გირაოში ერთს კაპიკს მოკვდისო.
აქედან ნ. ნიკოლაძის მოპირდაპირებმა
აშკარად დამტკიცეს, რომ იმას იწერე-
თის ხალხის ხასიათი არ სცოდნია, არც
თვით მოქმედი სამოქალაქო კანონების
აზრი შეუტყუია, თორემ ამისთანა ხეზ-
რულს აზრს როგორ წარმოსთქვამდაო.
თეორეტიკულად ის ამტკიცებს: ქვეყნის
ეკონომიურს მდგომარეობას და სამო-
ქალაქო კანონებს მიხედვით და ბანკი
ისე დაარსეთო, პრაქტიკულათ კი ისეთს
რასმე უჩრჩევს, რომელიც სულ წინა-
აღმდეგია ამ აზრის. „ჩვენ რომ ვიცო-
დითო ჩვენი ხალხის ზნე და სამოსა-
მართლო მდგომარეობა, კიდევ იმიტომ
ჩავსწერეთ ჩვენს უსტავში კანონიერი
საბუთების მიღება სესხის მისაცემათო.—
შპასუხებდა ბ. ლობაზერიძე და მართა-
ლიც იყო.

* * *

ს ა ბ უ თ ი მ ე ო რ ე: ხარკოვის და
ხერსონის ლუბერნიაში დიდს მებატონეებს
მიწის შემოსავალი მტკიცე კანტრახტე-
ბით აქვთ შეკრულიო; მაშინ როდესაც
ჩვენში არენდატორობა ჯერ არ გაჩენი-
ლაო, ამბობს ნიკოლაძე და მაშასადამე
არც კანტრახტები აქვს არავისო. ჩვენში
მიწის შემოსავალი ჯერ არც არის გან-
საზღვრული და არც ბევრი ფასი აქვსო.
ჩვენში მხოლოდ მიწას აძევს ფასი და
არა იმის შემოსავალს, მიწის პატრონის
მეცადინეობას, იმის მოხერხებას გამ-
ბედაობას, ვაჭრულს ანგარიშს და არა
იმის ერთი და ორი ქცევა მიწის სამ-
ოთხ ურემს სიმიდსო.

მუთაისის ბანკის პროექტის მუხლში
სესხის მისაცემათ ხელმძღვანელობს
მხოლოდ ადგილ-მამულის შემოსავლის
რაოდენობითო. აქ სესხის მიცემა მხო-
ლოდ კანტრახტების ძალით არის შესა-
ძლებელიო, როგორც ხარკოვისა და
ხერსონის ლუბერნიაში; მაშასადამე ჩვენი
წერილი თავად-აზნაურობა ამ ბანკით
ვერს ისარგებლებსო.

ამზე მოწინააღმდეგენი უპასუხებდნენ:
მაგას რასაც თქვენ ამბობთ, დაფასების
ინსტრუქციას შევხებაო. ჩვენ მანდ მხო-
ლოდ პრინციპალურად გამოვსტკივით
ჩვენი აზრი, რომ ბანკის უსტავი მთავ-
რობას დავამტკიცებინათ; რაცა შევხე-
ბა პრაქტიკას, იქ მართლაც ჩვენი დამ-
ფასებლები მიიღებენ ყურადღებაში მი-
წის ფასს, მიწის მებატონის მომჭირ-
ნეობას და ნიჭიერებას. მაგრამ საადგილ-
მამულო ბანკი რადგან მხოლოდ მიწის
შემოსავლით შოულობს ფულს; მაშა-
სადამე მთავრობაც ისეთს საადგილ-მა-
მულო ბანკის პროექტს არ დაამტკიცებს,
სადაც ეს პრინციპი უსტავში გამოთქუ-
ლი არ არისო.

აქ ნ. ნიკოლაძისაგან არეულარევით
გამოთქმულის აზრებით ისარგებლეს
იმისმა მოწინააღმდეგებმა და დაიწყეს
ყვირილი: ნ. ნიკოლაძეს არც კი ესმის
კარგათ რასში მდგომარეობს საადგილ-
მამულო ბანკის კრედიტი და თავი აზ-
რიო, ასე რომ თ. ილ. შავჭავაძემ იმის
გასანათლებლათ ერთი კარგი ლექციაც
წაუკითხა.

კრედიტი (ნდობას) ორს უმთავრესს
აზრზე არის დაფუძნებული. მართი მიწის,
ანუ უძრავის ქონების გირაოზე, მეორე
კაცის პირადს ღირსებაზე, იმას მწარმოე-
ბელს თვისებაზეო.

შუი ენდობა ან ადგილ-მამულს და
სახლს, ან თვითონ კაცს.

ადგილ-მამული და სახლი იხდის ვალს
ნელ-ნელა, ყოველ წლობით, ერთბაშათ
იმას არ შეუღლია ვალის გადახდა, რად-
გან მიწას წელიწადში ერთხელ მოყავს
ნაყოფი და სახლს მართა წლიურათ
შემოაქვს ქირა.

მწარმოებელმა კაცმა კი, თუ მოხერ-
ხებული ვაჭარია, ან მოხელე, რაც ვასა-
კეთებელი და ადებ-მიცემობა აქვს, თუ
რომ იმას ღღეს ფული აქვს ხელში,
შეიძლება ხელ ერთბაშათ გაყიდოს თა-
ვის საქონელი, ან გაკეთებული ნივთე-
ბი და ხელავე გადაიხადოს თქვენგან ნა-
სესხები ფული. ამ შემთხვევაში რაც
უფრო ღღეს ბევრი ფული ექნება მწარ-
მოებელს, ვაჭარს კაცს ხელში, ისე უფ-
რო ჩქარა და დიდს მოგებით შესარუ-
ლებს თავის საქმეს. ამ წელს რომ თქვენ
მისთვის ფული გისესხებიათ, იმ წელს
მადლობით უკანვე დაგიბრუნებს და ზედ
სარგებელსაც მოკითვლის.

ამიტომაც ადგილ-მამულზე და სახლზე
სესხის შოვნა გველ ვადიანი უნდა იყოს.

მწარმოებელს კაცზე ფულის გასესხე-
ბა მოკლე ვადიანი.

ამ საბუთის ძალით გაჩნდნ ორ გვა-
რი ბანკები ერთი საადგილ-მამულო,
მეორე ურთიერთობრივი ნდობის ბან-
კები.

პირველი გვარი ბანკები შოულობენ
ფულს მიწის გირაოთი, და გირაოს
ფურცლებითა.

მეორე გვარი კი ჩეკებით, ვექსელებით,
ვასხებითი წერილით სანდო კაცისაგან
ხელის-მოწერით და ბანკის ბილეთებით.
ზოგია ისეთი მდიდარი, რომ ფული
ბევრი აქვს და არ ეჭარებება; იმას ოღონდ
ამ ფულზე ყოველ წლობით მიეცი კა-

ნონიერი სარგებელი და ცოტა რამ თავ-
ნისაც გადაუხადე და ნასესხებულს ფულს
თუნდ სულაც არ მოგთხროს. ამისთანა
თანა ფულის მებატონენი დიდს სია-
მოვნებით ასესხებენ ფულს საადგილ-
მამულო ბანკებსა გველი ვადით, მაშინ
როდესაც ისინი პირადს კაცს, რაც უნდა
დიდი სანდო იყოს, მოკლე ვადით და
უგირაოთ არ ასესხებენ; ამიტომ რომ
ეშინიათ ფულის დაკარგვისა. „სჯობია,
ცოტა სარგებელი ავიღო და ნელ-ნელა და
ფულის დაკარგვისა კი არ მეშინოდესო,
ვინამც ჩემი ფული ჩაუგდო ხელში
ერთს სოვდაგარს, ხვალ ზღვაში საქონ-
ლით დატვირთული გემები დაეღუპოს,
თვითონაც რიყებზე დარჩეს და მეც და-
მარჩინოსო“.

ამიტომაც დადი ფულიანი კაცები,
რომელნიც დიდი ხანია გამდიდრებულან
დარისკზე ხელი აუღლიათ, მწარმოებლის
მოუსვენარის ცნობრებისათვის თავი და-
უნებებიათ აძლევს ფულს სესხათ საად-
გილ მამულო ბანკს მიწის და სახლების
გირაოზე და არ აძლევს არც სავაჭრო
(კომერციის) ბანკს, არც ურთიერთ
ნდობის ბანკს; ესეიგი ვხაიზნი კრედიტის
ბანკს მართა ვექსელების და ვასხებითს
წერილზე ხელის მოწერით. ამ გვარს
ბანკებს ასესხებენ მხოლოდ ის კაცები,
რომელთაც რაჰდენიმე ათასი მანეთი
უშოვნიათ, ჯერ საკმაოთ მდიდარი არ
არიან, მაგრამ უნდათ კი მალე მილიონ-
ნერები გახდნენ და ამის სურვილით
ინდობენ ბანკს ფულს, ვექსელებითა
ოღონდ რომ იმან დიდი პროცენტი
აღუთქვას, დივიდენტიც ბევრი მისცეს
ამ დიდი სარგებლობის ფულისთვის ისი-
ნი თავის მწარმოებელ ფულის დაკარ-
გვის შიშს არ ერიდებიან; ან ბილიონე-
რათ უნდა გავხდენ, ან დავიღუპოვო.
შენი ემგზავსებიან სწორეთ სტოში
მოთამაშებებს, რომელნიც ან ყოველ-
ფერს იგებენ, ან ცარიელზე რჩებიან.
ამიტომაც მეორე გვარის ბანკებში უფ-
რო წერილი ვაჭრობა აძლევს ფულს.

პირველი გვარის ბანკები უფრო მტკი-
ცე ბურჯზეა დამყარებული, მეორე გვა-
რის ბანკები უფრო რუსტესე, მაგრამ უფ-
რო დიდი მოკების იმედზე. მაშინ რო-
დესაც პირველ გვარის ბანკებს ეტანება
დარბაისელი, ფულით ჩაქვირითებული სო-
ვდაგრობა მეორე გვარის ბანკებს წერი-
ლი ჯიბა თხელები მაგრამ მოუსვენარი
და ენერჯის მექანი ვაჭრები. პირვე-
ლი გვარის ბანკები ღღეს დგანან მტკი-
ცეთ და შეუტყუელათ რუსეთში; მეორე
გვარის კი როგორც ჩქარა არსდებიან
ისე ჩქარაც კედებივ რუსეთში ამ ათის
წლის განმავლობაში უკანასკნელი ექვ-
სი, შეიდი ამისთანა ბანკები დაღუპულა
რუსეთში.

მაშასადამე მუთაისის საადგილ მამუ-
ლო ბანკი, რომელიც მიწის და სახლების
გირაოებზე არსდებოდა ვერ გამოაცხა-
დებდა პრინციპათ პირადს ნდობას, ვერ
ჩასწერდა თავის უსტავში, რომ მუთაი-
სის საადგილმამულო ბანკი უნდა ხელ-
მძღვანელობდეს მამულის შემოსავლით
და მოსესხე კაცის პირადის
თვისებით როგორც ნ. ნიკოლაძე

ითხოვდა. ეს მეორე ფრაზა „მოსესე კაციის პირადის თვისება“ უსტავში ჩაკეტილებული დაფთხობდა იმის გირაო ფურცლების მყიდველებს და ამის გამო თვითონ ფინანსის მინისტრიც ბანკის უსტავს არ დაამტკიცებდა.

სამწუხაროდ თ. ილ. შავჭავჭავაძემ თავის სტატიებში ეს აზრი მტკიცეთ ვერ გამოთქვა, ამის მაგივრათ იმან საადგილ მამულთა კრედიტზე ლექცია წაიკითხა. უფ. ნ. ნიკოლაძემ საფუძვლიანათ უპასუხა: „ღედამთილი მამამთილზე, რძალი ქმარზე ჩიოდაო“

ბ. წერეთელი

(შემდეგი იქნება).

დღიური

ამ დღეებში უპოვნიათ ერთი ხელთნაწერი წიგნი, რომელშიაც არის კომედიები ნათარგმნი 1794 წელსა. როგორც სჩანს ამ წიგნიდამ ქართველებს მეთვრამეტე საუკუნეშიაც ჰქონიათ კომიკური თხზულებანი და ამასთანავე რასაკვირველია წარმოდგენებიც ექნებოდათ. მეცდებით შემდეგ ვაცნობოთ ჩვენ მკითხველებს თუ მეფე ერეკლეს დროს როდის და ვის შემწეობით და სად არდგენდნენ.

* * * ამას წინეთ ჩვენ გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ მის ყოვლად უსამღვდელოებას ეპისკოპოსს ალექსანდრეს შეუწირავს 1600 მანეთი საეპარხიო საქალებო შკოლისათვისაო; მაგრამ ეხლა კი მოგვივიდა ნამდვილი ცნობა, რომ მას შეუწირავს 3000 მან., და არა 1600.

* * * სომხურ გაზეთში „მელუში“ იწერებიან სპარსეთიდან (თავრიზიდან), რომ იქ ამ მოკლე ხანში ისეთი საშინელი მიწის ძვრა ყოფილა, რომ ბევრ სოფლებში სახლები დაუტყვევია და ბევრი ხალხიც დაუღუპავსო.

* * * პეტერბურლიდამ გვაცნობებენ, რომ ამ ქაშად გაათავეს იქ ერთი ქართული წიგნის ბეჭდვა სახელათ „ქართველთ მამათ ცხოვრება“. ეს წიგნი ჯერ პირველი ნაწილია სურათებით; დანარჩენი ორი ნაწილიც მომავალში დაიბეჭდება.

* * * ამ დღეებში გამოვიდა ორი ქართული წიგნი; ერთი პოემა „საროდანი, ანი“ გამოცემული უფ. ჩარქოვისაგანდა მეორე—სომხურიდამ ნათარგმნი, აღწერა ლექსად შუშანიკ ქართველთ დედოფლისა, მგზუთე საუკუნეში.

* * * ქალაქის ჩრევაში 23 აპრილს განიჩრევა შემდეგი საქმეები:

- 1) ლუბერნატორის წინადადება სანიტარული კომიტეტის თხოვნის გაუთავებელ საქმეების გამო.
- 2) ბამგეობის წინადადება შტატებზედ.
- 3) ვაჭრობის დეპუტაციის წევრების და მისი კანდიდატების ამორჩევა და

პრიკაზის ღირექტორის ამორჩევა.

4) შუ. ნიკოლაძის წინადადება ქალაქის ჩრევის წესიერ წყობილებაზე.

5) შუ. ალადათოვის წინადადება შატლოვის და ბულიგინის ფულის გადახდევინებაზე, რომელთაც არ წარუდგენიათ ცნებებისა და შენობის მასალის შესანახავი და მოკრეფილი გადასახადი.

6) ქალაქის გამგეობის წინადადება ვალდებულებითი გადაწყვეტილების თაობაზე.

7) ქალაქის ბამგეობის დასკვნა სანიტარულ კომისიის თაობაზე.

8) თხოვნა უწინდელი ბუხგალტერის შიკოლოფოვისა დაჭერილ ჯამაგირის (25 მან. 33 კაპ.) დაბრუნების თაობაზედ.

9) თხოვნა ბარბარე თამამშოვისა, რომ ძალა დაატანონ ბამგეობას დააცლიეინოს იმისი სახლი, დაჭერილი ქანდარმის კამანდისაგან.

10) ბამგეობის წინადადება პოლუბანსკების დაჯილდოების თაობაზე, რადგან მათი მიწა გაყვანილმა ქუჩამ დაიჭირა

11) შუ. შანშიევის წინადადება ქალაქის ჩრევის 26 მარტის გადაწყვეტილების გადათვლიერებაზე მოუკრეფავი ფულების თაობაზე.

12) შუ. ზარაფოვის წინადადება საჭირო საქმეების მეორე წაკითხვის თანავე მიღებაზე.

13) კომისიის წინადადება, დაზიანებულ რიყეზე მცხოვრებთა ცეცხლისაგან 1000 მანეთის მოხმარებაზე.

14) ბამგეობის წინადადება საქონლის საკლავ ადგილის თაობაზე.

15) ბამგეობის წინადადება წყლის გაყვანაზე და ქალაქის პლანზე.

16) ბამგეობის მოხსენება ზოგიერთი ქუჩის ვალდებულებით მორწყვაზედ.

„დოკუმენტი“ კორამსკონდენსია

ბათუმი, 13 აპრილს. თფილისიდან გუშინწინ მოსულემა გვიამბეს, სხვათა შორის, იქ გავრცელებული არის ხმაო, ვითომც მთელი აჭარა ფეხზე არის ამდგარი, ვითომც აჭარელებს მთელი როტა რუსის სალდათები ამოეწყვიტოთ, ვითომც ბათუმსაც კი უპირებენ მიდგომასაო და სხვა ათასი ამგვარები.

ჩვენ, ბათუმში მცხოვრებთ, რომელნიც სრულის მშვიდობიანობით და მყუდროებით ვსტკებებით, რომელთაც კარგად ვიცით—რასში მდგომარეობს აჭარის არეულობა, ამისთანა ამბების გაგონება, რასაკვირველია, მხოლოდ გვაცინებს. იე მშვიდობიანად არა მგონია თქვენს თფილისში სცხოვრებდეს ხალხი, როგორც ჩვენ ვცხოვრებთ ახლა აქა. ღარწმუნებული იყავით, რომ ჩვენს ქალაქს აქუჩის ხალხისაგან არავითარი შიში არა აქვს და არც ექნება, თუ ხეირიანად წავეყვანეთ საქმე.

რაიცა შეეხება აჭარის არეულობას—ამის თაობაზე აი ნამდვილი ამბები. მართალია, რამდენიმე სოფლის ხალხი ამდგარი იყო და დაიარაღებული; მართა-

ლია, ისინი აცხადებდნენ, რომ რუსის მთავრობას ვერ დავემორჩილებით, გადასახადს ვერ გადავხდითო. და სხვ. მაგრამ გარწმუნებთ, რომ არც ერთი წვეთი სისხლი იქ არ დაქცეულა.

ბუშინწინ, დეპუტაციაც ვაცნობეთ, აქ ჩამოვიდა აჭარის დეპუტაცია, რომელთაც მთავრობას სთხოვეს პატიება ყველა იმ უწყსობებისა, რომელიც იმათ ჩაუდგინათ და თან ალუთქვეს, რომ შემდეგში ყველაფერში დამორჩილებიან რუსის კანონს. ამათ მისცეს პირობა ბათუმის ლუბერნატორს ღენ. ქამაროვს, რომ მსმალოს თოფებს აიყრიან და წარმოადგენენ. ბამოაცხადეს, რომ თავის ქვეყნიდამ გარდასახლებას არ აპირებენ და სხვ.

ამნაირად გათავდა ეს აჭარის არეულობა, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობენ. მორივე მხარე, ჩვენი მთავრობაც და აჭარელებიც დაკმაყოფილებული დარჩნენ და ამბობენ, რომ, თუ რამ ახალი მიზეზი არ გამოუტყვერათ და თუ მსმალეთილად აღარ შეუჩინეს კაცებო (განსაკუთრებით მსმან-ფაშას აჭარელს აბრალებენ ამათ არევას), აჭარელები სულ მუდამ მშვიდობით და შეუფოთებელად იცხოვრებენო, იმათგან ჩვენს მთავრობას არავითარი შეწუხება არ მოეღისო.


მაგრამ ამასთანავე საჭიროა, რომ მთავრობამ ყურადღება მიაქციოს იმათ მდგომარეობას; და ეს მდგომარეობა მართლაც რომ ამ ქაშად ძალიან სამწუხაროა; ამის ასახსნელად საკმაოა ის უბრალო გარემოება მოვიგონოთ, რომ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ომიანობისა და დაუდგრომელი მდგომარეობის წყალობით, ხალხს არაუხნავს, არ უთესია და მამასადამე არც არა მოუშკია. ამის გამო ახლავე გადასახადის დადება ხალხზე ძალიან ძნელი იქნება.

ზადასახადის მოსპობა სამი-ოთხი წლით მაინცა და კარგი, ადგილობრივი გარემოებისა და ხალხის ზნისა და ჩვეულების მცოდნე პირების დანიშნვა უფროსებათ—არის, ჩვენის აზრით, ერთადერთი საშუალება, რომლის შემწეობითაც ჩვენ შევიძლებთ აჭარის დამორჩილებასა და ხალხის გულის მოგებას.

ეს ორი პირობა არა თუ მარტო აჭარაში, არამედ ყველგან მთელს ახლადშემოერთებულს მხარეში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. შამისოთაც, ჯარის ძალის საშუალებითაც მოხერხდება ხალხის დამორჩილება; მაგრამ ამისთანა დამორჩილებას ხანგრძლივი სიცოცხლე არა აქვს!..

ჩვენს ქალაქში იმყოფება ამ ქაშად დროებით სამხლერების თაობაზე მოსალაპარაკებელად მსმალეთის მთავრობისაგან გამოგზავნილი მუსტაფა-ფაშა. მაგრამ ახლა, როდესაც ღენ. სტებნიცკიმ გაათავა ეს საქმე საბოლოოთ სტამბოლში, მუსტაფა-ფაშას თითქმის აღარაფერი საქმე აღარ დარჩა.

ახალი სამხლერო ჩვენსა და მსმალეთს შუა გადის მდ. შოროსს იქით (მარცხნივ) 30 ვერსზე, იწყობა სოფლებს აბე-ისლასა და მაკრიალს შუა კლდით და ამ კლდეს მიჰყვება პროვი-



ნის სამხრეთისაკენ. მურღული, რომელ-
შიაც მსმალებს ახლაც კი ჰყავთ დას-
მული თავის შიშაყამი (მაზრის უფრო-
სი) ჩვენს სამზღვარში შემოდის. მურ-
ღული და იჩხალა საუკეთესო და უმდი-
დრეს მაზრებათ ითვლებიან მთელს
მსმალოს საქართველოში; ართვინიც,
რასაკვირველია, ჩვენ გვრჩება. ამბობენ,
უ-მურღულოთ ართვინი ერთ გროზა-
შათაც არ ელირებოდა.

ამნაირად სამზღვრების საქმეც გათავ-
და და იმედია, რომ ახლა ყველა გან-
ხეთქილება და უთანხმოება, დროებით
მაინც, რუსეთსა და მსმალეთს შუა.

განცხადებანი

**პირუტყვების ეპიმი ნ. ი. გეორგი-
სკი** ყოველს დღეს მიიღებს ავთომყოფს
პირუტყვებს. შ. თფილისში 4-ს საათი-
დან 5 საათამდისინ შუადღის შემდეგ
და ეგრეთვე უფლში ვინც მიიწვევს პი-
რუტყვების საექიმოთ სხვა და სხვა სა-
ქონლის მოსარჩენლათ წავა. სცხოვრებს
რიყვზედ, ახნაზაროვის სახლში.

(3-3)

პირველ მაისიდან დაეიწყებთ თილის-
ში მოზიდვას ტყის მასალებს ოთხი და
ხუთი წლის დახვრჩილებს ფიჭვის და
ელის ხეებს ძალიან ხმელს. აქ იმაზედ
უკეთესი მასალა არ მოიპოვება და ამი-
ტომ ვთხოვ მსურველს მომმართოს მი-
არსენალის ქუჩაზე შუდინოვის სახლებ-
ში № 31.

(3-3)

„პაერ ოსტატი“

ამეღია ოთხ-მოქმედებად, თხზულება
მ. ჯორჯაძისა

ანგარიში ხვანჭპარის გამსახველ-შემანახველი ახანაგოგისა 1878 წლის პირველს იანვარს 1878 წელს იყრილობის შემოსავალი

	მან.	კაპ.
წილის ფული — — —	2723	70
სასარგებლოთ შემოტანილი	678	”
შალათ აღებული — — —	560	”
სათაედარიგო თანხა — — —	19	7
წმინდა მოგება — — —	476	24
სულ — — —	4457	1

	მან.	კაპ.
ბასესხებული — — —	4025	50
ნაღდი კასსაში — — —	431	51
სულ — — —	4457	1

1878 წელს

შემოსავალი

	მან.	კაპ.
წილის ფული — — —	4033	30
სარგ. დაჭ. გასესხ. და ახალი		
ვადის მიცემის დროს — — —	937	41
დაბრუნებული ნასესხი — — —	9335	”
ჯარიმა — — — — —	50	81
სასარგებლოთ შემოტანილი	881	50
სათაედარიგო თანხა — — —	47	84
სხვა და სხვა შემოსავალი — — —	12	”
აღებ მიცემობისა — — —	5	70
სულ — — —	15303	56

ბასავალი:

ბასესხებული — — —	13007	”
წილის ფული — — —	113	60
მოგება წილზედ — — —	203	76
სარგებელი ვადაზედ წინ გა-		
დახდილის სესხებისა — — —	36	36
სასარგებლოთ შემოტანილი	891	50
ამის სარგებელი — — —	24	44
შალათ აღებული ფულები	400	”
სარგებ. ვალათ აღებულს		
ფულებზედ — — — — —	25	”
სამმართველოს ხარჯი — — —	36	20
აღებ-მიცემობისა — — —	234	54
სულ — — —	14972	40

1879 წლის პირველის იანვრისათვის დარჩა:

შემოსავალი

	მან.	კაპ.
წილის ფული — — —	6643	40
სასარგებლოთ შემოტანილი — — —	668	”
შალათ აღებული — — —	160	”
სათაედარიგო თანხა — — —	66	91
წმინდა მოგება — — —	921	86
სულ — — —	8460	17

ბასავალი:

ბასესხებული — — —	7697	50
ნაღდი კასსაში — — —	762	67
სულ — — —	8460	17

წვერნი გამგებლობისა:

თ. ა. შიფანი
გ. ბიორგოზა.

(3-1)

ქუთაისის ღარიბ მოწაფეთა შმ-
ფე საზოგადოების წევრნი, გამგა-
ბელი კამიტატის გადაწყვეტილების

ქალით, მოწოდებულნი არიან ამ
აკრილის 22-ს არა ჩვეულებრივ სა-
ზოგადო კრებად. (3-3)

რპ. გზა.	დღა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელერაფი	მან.კაპ.	მაზანდა	მან.კაპ.	თფილისის სამაჟურნალო.
თფილისი ..	9 21	5 18	მ.კაპ.	მ.კაპ.	მ-ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 21 აპრილს.		მრეწვის მაედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა ..	10 11	6 27	85	44	ბაკეასიის აქეთა მზრის ყველა ქალაქებში.	50	ფქე. თფ. ბანჯისა, ფთ.	180	ავთომყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ზორი ..	11 58	9 43	3	153	როსტოვი, მდესას, მოსკოვის პეტერბურგს, მარშაფს.	2	შერი ფუთი ..	120	მ. რ. შაბათს: მერმიშვი და ბა- რ. ლევიჩი — შინაგ. ავთ., შიუნა- რიანც — ქალის ექიმი და საშვი- ლოსნოს ოპერაციები.
ხაშური ..	1 29	11 57	473	242	მსმალეთში, შვეიც. რაში.	3	ბამბა მრეწვისა, ფუთი ..	730	სამ შაბათს: მერმიშვი — ში- ნაგ. ა. ბახტოვი — საბეზიო და ბავ- შვის. პეუნოვი — თვალის.
სურამი ..	1 44		490	261	იტალიაში და საფრანგეთში.	350	— ამერიკისა, ფუთი ..	840	ნაგანი ავთომყოფობის.
შვირილა ..	5 49		721	369	ინგლისში ..	375	ბაპენტალი ბ. მბა ფუთი.	960	სუთ შაბათს: მერმიშვი — ში- ნაგ., შიუნარიანცი — სიფილიტიკუ- რი და საშარღო როგანების.
რიონი ..	6 57		844	431	ფოკბა		მატყელი თუშური ფუთი.	660	პარასკევს: მერმიშვი — შინაგ., ა. ბახტოვი — საბეზიო, ქალისა და ბავშვების.
სამტრედია ..	7 51		966	493	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, შუთასხ, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მსურ. — პარასკ. და ორშ. ბახეთს — სამშ. და შაბ. ბ) შუთაი- სილიამ: თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურ- გეთს — ორშ. და პარასკ.		— თარაქამისა ფუთი ..	380	შამ შაბათს: მერმიშვი — ში- ნაგ. ა. ბახტოვი — საბეზიო და ბავ- შვის. პეუნოვი — თვალის.
ახალ-სენაკი	8 43		1071	547			— შარაქამისა ფუთი ..	210	ნაგანი ავთომყოფობის.
ფოთი ..	9 50		1224	626			აბრეშუმი ნუხური სტ.	210	შინაგ. ა. ბახტოვი — საბეზიო და ბავ- შვის. პეუნოვი — თვალის.
ფოთი ..	9 3						შონი, ფუთი ..	550	ნაგანი ავთომყოფობის.
ახალ-სენაკი	10 14		153	78			შონის სანთელი ფუთი ..	760	ნაგანი ავთომყოფობის.
სამტრედია	11 5		261	133			სტეპარინის სანთელი, ფთ.	1250	სუთ შაბათს: მერმიშვი — ში- ნაგ., შიუნარიანცი — სიფილიტიკუ- რი და საშარღო როგანების.
რიონი ..	12 13		384	197			ხორცი ძროხისა, ლიტ.	90	პარასკევს: მერმიშვი — შინაგ., ა. ბახტოვი — საბეზიო, ქალისა და ბავშვების.
შვირილა ..	1 18	ლაგ.	53	256			— ცხვრისა, ლიტრა ..	99	შამ შაბათს: მერმიშვი — ში- ნაგ., შიუნარიანცი — სიფილიტიკუ- რი და საშარღო როგანების.
სურამი ..	5 12		1107	3474			სპირტი ედრო ..	460	პარასკევს: მერმიშვი — შინაგ., ა. ბახტოვი — საბეზიო, ქალისა და ბავშვების.
ხაშური ..	5 39		1377	51384			შაქარი, ბროც. ფუთი ..	740	შამ შაბათს: მერმიშვი — შინაგ., ა. ბახტოვი — საბეზიო, ქალისა და ბავშვების.
ზორი ..	7 5		489	24473			— ფხვნილი ფუთი ..	560	შამ შაბათს: მერმიშვი — შინაგ., ა. ბახტოვი — საბეზიო, ქალისა და ბავშვების.
მცხეთა ..	8 50		659	1139			შავა გრგვლი, გირვ ..	69	შამ შაბათს: მერმიშვი — შინაგ., ა. ბახტოვი — საბეზიო, ქალისა და ბავშვების.
თფილისი ..	9 31		756	1224			ხეთი ქუნჯუთისა ფუთი.	1180	შამ შაბათს: მერმიშვი — შინაგ., ა. ბახტოვი — საბეზიო, ქალისა და ბავშვების.
							თამბაქო, ხაშულო ფთ.	720	შამ შაბათს: მერმიშვი — შინაგ., ა. ბახტოვი — საბეზიო, ქალისა და ბავშვების.